

## წირვა-ლოცვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების ეთნო-ლინგვისტური ანალიზისათვის სვანურში<sup>1</sup>

მედეა საღლიანი, ნატო შავრეშიანი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნ.

ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

[medeasagliani@yahoo.com](mailto:medeasagliani@yahoo.com)

[nattaliashavreshiani@gmail.com](mailto:nattaliashavreshiani@gmail.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.35>

სვანური ტრადიციული ყოფისათვის დამახასიათებელი წირვა-ლოცვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების ეთნო-ლინგვისტური ანალიზი სხვა ქართველურ ენებთან შედარება-შეპირისპირების თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საინტერესო და, ამასთანავე, მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამგვარი კვლევა, როგორც არნ. ჩიქობავა წერდა, „შედარება ისტორიული წარსულის უფრო ღმრად წვდომის იარაღია“ [ჩიქობავა 1938:1].

წირვა-ლოცვის ამსახველი სვანური დიალექტოლოგიური მასალა დაყვავით ორ ნაწილად:

- წირვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები და
- ლოცვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები.

ლოცვის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებში გავაერთიანეთ უფლის ან რომელიმე წმინდანის სახელზე აღვლენილი ლოცვა-ვედრებისა და შეწირვის რიტუალის აღმნიშვნელი ისეთი ლექსემები, როგორცაა: ლიდბში, ლილლ, ლილგენი, ლიხლინე, ლიტბლი და ა. შ.

ვინაიდან ზოგადად საკუთრივ სვანური მასალის გვერდით საერთოქართველური და ნასესხები მასალაც საკმაოდ ხელშესახებია, შესაბამისად თითოეულ ნაწილში თვალსაჩინოებისათვის ქვეჯგუფებიც გამოვყავით, თუმცა, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, წირვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ძირითადად ქართულიდანაა შეთვისებული.

1. წირვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები:

წირ (ზს., ქს.)/წირ (ზზ., ლზზ., ლზმ.) < ძვ. ქართ. წირ-ვ-ა „მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება“ ფორმისაგან, თუმცა სესხებისას სვანური დიალექტ-კილოკავების მიხედვით სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესებს აქვს ადგილი. ცხადია, სვანურში, როგორც მოსალოდნელი იყო, წირ- ძირისაგან ნაწარმოები არაერთი ფორმა (მასდარული, მიმღებური, ზმნის პირიანი) დასტურდება, მაგ: ლი-წირ-ელ-ი/ლი-წერ-ელ-ი (ზს.)/ლი-წერ-ლ-ი (ზზ.) 1. „წირვა“, 2. „გალობა“ (სემანტიკური გადაწევით), 3. „წირპინი (ჩიტ-სა)“; ლწერლი (ზზ.)/ლწირელი (ზქ.) „წირვის ჩასატარებელი (ადგილი, საშუალება)“ < ქართ. სა-მ-წირ-ვ-ელ-ო „ეკლესიის მოშორებით ცალკე აგებული ან ეკლესიას მიშენებული მცირე ნაგებობა;

<sup>1</sup> ნაშრომი მომზადდა 2022 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (FR -22-7056) – „სვანური რელიგიური ლექსიკის ეთნო-ლინგვისტური ასპექტები“ ფარგლებში.

სამლოცველო“; ლეწგრელი (ზს.)/ლეწგრლი (ზზ.)/ლეწირელი (ბქ.) < ქართ. სა-წირ-ავ-ი „წირვისათვის განკუთვნილი გასამრჯელო“; ნა-მ-წირ--ელ (ლშზ.) „წირვის საფასური“; წირელა (ბქ.) გადატ. „მაგლობელი, გალობის შესრულების მოყვარულ-ი“; წგრელი (ზზ.)/წირელი (ბქ.) „წირვას ატარებს (ზედმიწ. – \*ა-წირ-ავ-ს)“; წირელი (ბქ.) „წირვას ატარებს (ზედმიწ. – წირ-ავ-ს)“...

სახრბ (ზს.)/სახრებ (ლშზ., ჩოლ.)/სახარება (ლნტ.) 1. „სახარება; ბიბლია“, 2. „აღდგომის ცისკრის წირვა“ < ძვ. ქართ. სა-ხარ-ებ-ა „ბიბლიის ნაწილი, რომელშიც შედის ახა- 2 ლი აღთქმის პირველი ოთხი წიგნი..., წარმოადგენს ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველს, – ოთხთავი“, ცხადია, იგივე მნიშვნელობა აქვს სვანურშიც, თუმცა პარალელურად გადატანით სხვა მნიშვნელობაც უდასტურდება, კერძოდ, „აღდგომის ცისკრის წირვა“, რაც საილუსტრაციო მასალიდანაც (მაგ.: ლიზნგლგი ერ დბინეხ, სახრბიშ წირულდ ლჯხალდა (ბქ., სვან. პოეზ., 328:17-18) „ზარების რეკვა რომ დაიწყეს, აღდგომის ცისკრის წირვა გეგონა (ზედმიწ. – \*ზან-ზალ-ავ-ებ-ა რომ დაიწყეს, სახარებ-ის წირ-ვ-უკ-ა გეგონა)“; სახრებთე მზი ჟ'ენრეჟი მაგ მახე ლერქალში ი ადრნეხ სახრებთე (ლშზ., სვან. (ლაშზ.) ტექსტ., 1-2) „აღდგომის ცისკრის წირვაზე წამსვლელი ყველა ახალი ტანსაცმლით უნდა შე-იმოსოს და წავიდეს წირვაზე (ზედმიწ. – სახარებ-ის)-კენ მსვლელი შეიმოსება ყველა ახალი სამოსელით და წავლენ სახარებ-ის-კენ“)...) კარგად ჩანს.

თნობელობ (ჩოლ.) „წირვა-ლოცვა (აღდგომის წინა კვირისა, ანუ ვნების კვირისა)“ < ძვ. ქართ. მთნება/მთნევა „მსახურება“.

ჩოლურულ მეტყველებაში შეგვხვდა წირვა-ლოცვის აღმნიშვნელი სიტყვა თნ-ობ-ელ-ობ, რომელიც, ჩვენი აზრით, ძველი ქართული მთნება/მთნევა „მსახურება“ ფორმისა-გან უნდა მომდინარეობდეს სემანტიკური გადაწევით, რაც შეეხება -ობ, -ელ და -ობ სუფიქსებს, ისინი ქართულიდან გადმოყოლილი საწარმოებელი აფიქსებია, თუმცა ამ სახით აღნიშნული ლექსიკური ერთეული ძველი ქართული ენის ლექსიკონებში ვერ დავადასტურეთ. ვფიქრობთ, სვანურმა ბევრად უფრო ძველი ქართული სიტყვა შემოინახა. საანალიზო ძირ-ფუძეთა ფონეტიკური ტრანსფორმაცია კი შემდეგი სახით გვევლინება:

ჩოლ. თნ-ობ-ელ-ობ < \*მ-თნ-ობ-ელ-ობ < \*მ-თნ-ებ-ელ-ობ < \*მ-თნ-ებ-ლ-ობ < \*მ-თნ-ებ-ობ < \*მ-თნ-ებ < ძვ. ქართ. მ-თნ-ებ-ა. ზოგადად სვანური სესხებისას გამარტივებისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ ამ შემთხვევაში სუფიქსთა გამოყენება საპირისპირო ტენდენციასზე მეტყველებს.

როგორც ზემოთ წარმოდგენილ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, წირვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები სვანურში შეთვისებულია ქართულიდან როგორც ფონეტიკურად უცვლელი, ისე ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმით. ცხადია, სემანტიკური იდენტურობის კვალდაკვალ სემანტიკურ გადაწევასაც აქვს ადგილი. ქრონოლოგიურად ზოგი ლექსიკური ერთეული (მაგ.: წირ/წირ; სახრბ/სახრებ/სახარება) შედარებით ახალ ნასესხობას წარმოადგენს, ზოგი კი უძველესს (მაგ., თნობელობ).

## 2. ლოცვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები:

ლოცვის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებში ნასესხებ სიტყვათა პარალელურად გამოყვავით როგორც საერთოქართველური, ასევე საკუთრივ სვანური მასალაც, რომელსაც შესატყვისები არ ემეზნება მონათესავე ქართველურ ენებში.

### ა) ნასესხები ლექსიკური ერთეულები:

ლოც (ზს., ქს.)/ლოც (ლხმ., უშგ.) 1. „ლოცვა“, 2. „პირჯვრის გადასახვა“ < ქართ. ლოც-ვ-ა „სახელი ლოცავს ზმნის მოქმედებისა, – ღვთისთვის ვედრება, ღვთისთვის ვი-სიმე სიკეთის (ბედნიერების, სიცოცხლის, გამარჯვების...) თხოვა გარკვეული წესის შე-სრულებით, დალოცვა“ სიტყვისაგან ძირითადად აუსლაუტის გამარტივებით (შდრ. ზს., ლშზ., ჩოლ. ლიმზრ, ზს., ლშზ. ლიმზურ/ლიმზირ, ლნტ. ლიმეზრე/ლიმეზრ).

როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში ლოც-ძირისაგან ნაწარმოები მასდარული და მიმღეობური ფორმებიც დასტურდება (მაგ.: ლი-ლც-ო-ლ (ზზ.)/ლი-ლც-ო-ალ (ბქ.)/ლი-ლოც-ა-ლ (ლშზ.) < ქართ. ლოც-ვ-ა; მე-ლც-ო-ლ

(ბზ.)/მე-ლც-ო-ალ (ბქ.)/მე-ლოც-ა-ლ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მ-ლოც-ვ-ელ-ი; ნა-ლც-ო-ლ (ბზ.)/ნა-ლც-ო-ალ (ბქ.)/ნა-ლოც-ა-ლ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ნა-ლოც-ი ... და ზმნის პირიანი ფორმებიც (მაგ.: ილცოლ (ბზ.)/ილცოალ/ილცოლ (ბქ., ლნტ.)/ილცოლ (ლშხ., ჩოლ.) „ლოცულობს“...). ლოც- ძირი ასევე დასტურდება შესი-ტყეების პირველ კომპონენტად შემდეგ გამოთქმაში: ლოცმ ლიჩემ (ბქ.) „პირჯვრის გადასახვა (ზედმიწ. – ლოცვ-ის ქმნა)...

ლიდბში (ზს.) „სალოცავის კარზე (ან ყანაში, სათიბში...) ფქვილით ან ცომით მი-სვლა, იქ კვერების გამოცხობა და შეწირვა რომელიმე წმინდანის სახელზე, რომელსაც ადამიანის ჯანმრთელობას, მოსავლიანობას, ოჯახის ბარაქას შესთხოვდნენ (ზედმიწ. – დიდებ-ის-ა)“.

სვანეთში გავრცელებული ლოცვის რიტუალი – ლი-დბ-შ-ი, რომლის ძირია -დბ- < ქართ. დიდება<sup>1</sup>საგან ფუძისეულ ბგერათა ცვეთით და გაფორმებულია სვანური მორფოლოგიური ინვენტარით. -დბ- ძირისაგან, მასდარული ფორმების პარალელურად, იწარმოება როგორც მიმღობური (მაგ.: ლე-დბ-შ-ი „შესაწირავი (პური, ხაჭაპური...)“; მ-დბ-შ-ი „შემწირველი, ლოცვის აღმვლენელი“, ნა-დბ-აშ „შენაწირი“...) ფორმები, ასევე დანიშნულების სახელიც (მაგ., ლა-დბ-შ „ადგილი ან შენობა, რომელიც განკუთვნილია ლოცვისთვის, ღვთისმსახურებისათვის და რელიგიური რიტუალების შესასრულებლად...“).

ლადბშ, ეთნოგრაფიული ლიტერატურის მიხედვით, წარმოადგენდა საკულტო ადგილს სვანურ საცხოვრებელში, სადაც კერა იყო გამართული და შესაწირ პურებსა და ხორცეულს ამზადებდნენ. ეკლესიებთან კი ლადბშ-ი სპეციალურად მიშენებული ხის ან ქვის შუაცეცხლიანი ნაგებობა იყო, სადაც დღეობების დროს სამსხვერპლო საკლავის ხორცს ხარშავდნენ და შესაწირ კვერებს აცხობდნენ (ბარდაველიძე 1939:10, 64; ჩართოლა-ნი 1961:228)<sup>1</sup>.

2 ლიტბელი (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლიტაბლე (ლნტ.), შდრ. ლნტ., ჩოლ. ხლმ. ფორმა ლიტაბლიელ „ღვთისადმი სალოცავი პურების, ტაბლების, საკლავის მსხვერპლად შეწირვა; ტაბლების ცხობისა და შეწირვის პერიოდი (ზედმიწ. – ტაბლ-ობ-ა)“ < ქართ. (ინგილ., ფშ.) ტაბლ-ობა- „ახალი მკვდრის (ან ძველთა) მოსახსენებელი ალაპი; (ფშ., ხევს.) ტაბლ-ობა „საწესჩვეულებო სუფრის გაშლა“ (ვაჟა-ფშ., მც. ლექსიკ.) სიტყვისაგან ბგერის დაკარგვი-თა და გაჩენით. სრულ ფუძეს, როგორც წესი, გვიჩენებს ლენტეხური ფორმა, რომელიც ზოგადად ერთგვარი გასაღებია თავდაპირველი ფუძის აღსადგენად.

საანალიზო ლექსიკურ ერთეულებში ძირად გამოიყოფა -ტბგლ-/-ტაბლ-, რომლისგანაც იწარმოება არაერთი მიმღობური და სახელური ფორმა, მათ შორის იშვიათად, მაგრამ მაინც ზმნის პირიანი ფორმებიც, მაგ.: ტაბლშ (ზს.)/ტაბგლ (ქს., ბზ.)/ტაბილ (ქს., უშგ.)/ტაბულ (ჩოლ.) „ტაბლა, შესაწირავი კვერი, კოკორი, მრგვალი და ოთხქიმიანი“; მეტბელი (ლშხ.) „მეტაბლე, სუფრის მაკურთხებელი“; ლელტაბილ (ჩოლ.) „შესაწირავი კვერებისთვის განკუთვნილი“; ხოტბელი (ლშხ.) „აკურთხებს, სწირავს...“ და სხვ.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ტერმინი ლემზერ, ლემზირ მთელ სვანეთშია გავრცელებული, ხოლო ტაბგლ სალოცავი პურის მნიშვნელობით ძირითადად ქვემოსვანურში გვხვდება [გაზდელიანი, ჭკადუა 2016:7] და მასთან დაკავშირებული რელიგიური ლექსიკური ერთეულებიც სწორედ ქვემოსვანურ დიალექტებში სჭარბობს, რაზეც მეტყველებს როგორც ას. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ (ჩოლურული კილო) ლექსიკონში დადასტურებული არაერთი საინტერესო ტერმინი, ასევე „სვანურ პროზაულ ტექსტებსა“ და „სვანურ ქრესტომათიაში“ გაბნეული ლაშხურ-ლენტეხური მასალებიც. მაგ.: ბაპა ლიტბელი (ლშხ.) „მღვდლისათვის შესაწირავის მირთმევა (ზედ-მიწ. – პაპ-ი[ს] ტაბლ-ობ-ა)“; ფუსტა ლიტაბლიელ „უფლისათვის საუფლო კვერების შე-წირვა (ზედმიწ. – უფლის ტაბლ-ობ-ა)“...

ტაბლა, როგორც სარიტუალო პური, საქართველოს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო გავრცელებული [გაზდელიანი, ჭკადუა 2016:8], რაზეც მეტყველებს

<sup>1</sup>მსგავსი საკულტო ადგილები დღემდეა შემორჩენილი სვანეთში და ისინი წმინდა ადგილებად მიიჩნევა.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოთქმული შემდეგი თვალსაზრისები: „გარკვეულ დღეობა-დღესასწაულებთან დაკავშირებით რიტუალური დანიშნულების ნამცხვრებს ტაბლა ეწოდება“ [ბრეგაძე 1969:170], „ტაბლა მთიულურში მიცვალებულისთვის გამო-მცხვარ დიდ ქადას აღნიშნავს“ [კაიშაური 1967:232] და სხვ. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ძველ ქართულში ტაბლა აღნიშნავდა „სუფრას, მაგიდას“ [ილ. აბულაძე], სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით კი „როგორც ფიცრის სუფრას“. დაახლოებით ანალოგიური მნიშვნელობით დასტურდება ხევსურულსა და მოხეურში: „გაწყობილი სუფრა, მაგიდა პურის საჭმელად“. სუფრის მნიშვნელობით გვხვდება სვანურში ტაბგ (ზს., ლნტ.)/ტაბაგ (ლშხ.) „ტაბაკი, მაგიდა, სუფრა“, თუმცა პარალელურად რელიგიური და-ტვირთვაც გააჩნია – „ტაბლა (სულეებისათვის გაშლილი სუფრა)“, რომელიც < ქართ. ტა-ბაკი (< ფალ. tapak „ტაფა“, შდრ. არაბ. tabak „თეფში, სინი“) 1. „იგივეა, რაც ტაბლა, – და-ბალი მაგიდა. || ასეთ მაგიდაზე დაწყობილი სასმელ-საჭმელი“, 2. რელიგ. „მიცვალებულ-ის სულის მოსახსენებლად მომზადებული სასმელ-საჭმელი, რომელსაც მღვდელი აკურთხებდა, – საკურთხი“ [საღლიანი 2023:253-354].

ლილლ (ზს.) „შეწირვა, შეთქმა (საქონლისა, ფრინველისა, რაიმე ნივთისა...) რომელიმე ღვთაების ან წმინდანის სახელზე; ლოცვა-ვედრების აღვლენა“ < ძვ. ქართ. აღ-ვლ-ენ-ა „სახელი აღავლენს ზმნის მოქმედებისა; მალლა, ღვთისადმი აღვლენა ლოცვისა; ლოცვის, საჩუქრის, მსხვერპლის ღმერთისთვის მიძღვნა“ სიტყვისაგან სხვადასხვა სახის ფონეტიკურ პროცესთა (ძირითადად ბგერათა დაკარგვის) განხორციელებით. მასდარისეული ფორმის ძირეული ნაწილია -ღლ-, ხოლო ლი- და - ფორმანტები მასდარის მაწარმოებელი აფიქსებია. ცხადია, სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში -ღლ- ძირისაგან ნაწარმოები როგორც მიმღეობური (მაგ.: ლულლე (ზზ.)/ლულლაე (ზქ., ლშხ.) „შე-წირული, შეთქმული“; მულლ (ზს.) „შემწირველი, შემთქმელი; აღთქმის დამდები“), ასევე ზმნის პირიანი (მაგ.: აღლ (ზს.) „სწირავს; აღთქმას დებს...“, ხოლო (ზს.) „სწი-რავს, შეუთქვამს...“) ფორმებიც გვხვდება.

ლიხლინე (ზს.) „მიწოდება; მიშვერა; ზემოთ აღმართვა სალოცავი სეფისკვერებისა და ამ სახით ლოცვის რიტუალის შესრულება“. ამ სიტყვის პარალელურად სემანტიკურ-რად მეტნაკლებად იგივეობრივი ლიხლე ფორმაც დასტურდება ზემოსვანურ დიალექტ-ტებში, თუმცა რელიგიური დატვირთვა ლიხლინე სიტყვას უფრო აქვს, რასაც საილუს-ტრაციო მასალაც ცხადყოფს.

ცხადია, მასდარული ფორმების პარალელურად მიმღეობური და ზმნის პირიანი ფორმებიც გვხვდება, მაგ.: ლეხლინე „გასაშვერი, მისაწოდებელი“, მხლინე „ის, ვინც მი-უშვერს, მიაწვდის“, ხოხლინე „მიუშვერს, მიაწვდის/გაუწვდის“, ქა ლოხხელ „მიუშვირა, მიაწოდა“, ქა ლოხხელა „მიუშვერია, მიუწოდებია“ და ა. შ., თუმცა უფრო გავრცელებულ-ია -ინ სუფიქსიანი ფორმები, ხოლო ლიხლე’ს ვერც მიმღეობური ფორმები დავადას-ტურეთ და ვერც ზმნის ყველა ფორმა, რაც მის დეფექტურობაზე მეტყველებს.

განსახილველ ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურული აგებულება ასეთია: ლი-ხლ-ინ-ე/ლი-ხლ-ე, სადაც ძირად გამოიყოფა -ხლ-, ხოლო ლი- – ე მასდარის მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსია. სემანტიკურად როგორც ლიხლინე, ასევე ლიხლე ხელის გაშვერა-გაწოდება/მიწოდება’ს ნიშნავს. ხელის მნიშვნელობით სვანურში გვხვდება სიტყვაში, რომელსაც, მ. ჩუხუას აზრით, შესატყვისები ეძებნება როგორც ქართულსა და ზანურში (მაგ.: სვან. შუ’ში „ხელი“ : ქართ. სუ-ე/სვ-ე „ფრთა“ : ზან. (მეგრ.) ფსუ-ა/ფსუ-ა(ლ) : ჭან. ფსუ-ა/სუ-ალ „ფრთა“), ასევე მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებშიც [ჩუხუა 2000-2003:309]. ცხადია, შესატყვისები ეძებნება ქართულ ხელი სიტყვას ზანურსა და სვანურშიც (შდრ.: ქართ. ელ- ხელ-ი, ძვ. ქართ. ელ-ი „ხელი, ხელობა, ხელმოწერა“ სა-ელ-ი „სახელო“, ერთ-ელ-ი : ზან. (მეგრ.) ხე „ხელი“, მრ. რ. ხელ-ეფ-ი, ხუ „მუჭა“, მრ. რ. ხუ-ეფ-ი : ლაზ. ხე „ხელი“, მრ. რ. ხელ-ეფ-ე : სვან. ლ → || აღ „მხარი, სიგრძის საზომი ერთეული – გაშლილი ორი მკლავის სიგრძე“), სადაც ს.-ქართვ. ფუძეენის დონისათვის აღდგენილია \*ელ- „ხელი“ არქტიპი [ჩუხუა 2007:659]. როგორც ვხედავთ, სვან. ში „ხელი“ და ქართ. ხელი ფორმებს შორის

არანაირი სტრუქტურული იდენტურობა არ გვაქვს, თუმცა სვანურ საანალიზო ლექსიკურ ერთეულებში ძირად გამოყოფილი -ხლ- (გახმოვანებით -ხელ-) სწორედ ქართ. ხელ-ძირისაგან მომდინარეობს უმეტესად ძირეული ხმოვნის რედუქციით და გაფორმებულია სვანური მორფოლოგიური ინვენტარით.

ბ) საერთოქართველური ლექსიკური ერთეულები:

ლილგენი (ზს., ქს.)/ლილგენი (ლნტ.)/ლილგნი (უშგ.) „შეწირვა სამსხვერპლო საქონლისა (ზედმიწ. – დგ-მ-ა)“. როგორც სვანურ დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, საანალიზო მასდარული ფორმების პარალელურად ნაწარმოები ფუძეებიც საკმაოდ ხელშესახებია, მაგ.: ლლგენე „შეწირული“, ლელგენი „შესაწირი“, მლგენი „შემწირველი“... შდრ. სვან. ლიგნე „დგომა“, ლიგემ „შენება/\*დგმა“, ლგ „დგას“ და ა. შ. ლექსიკური ერთეულები, სადაც, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ძირად გამოიყოფა -გ-, რომელსაც შესატყვისები ეძებნება სხვა ქართველურ ენებში. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ყველა მეცნიერი, ჩვენ მიერ წარმოდგენილ საანალიზო ლექსიკურ ერთეულებში, ძირად გამოყოფს გ-ს, რომლისგანაც უამრავი ფუძეა ნაწარმოები და მათ შორის ჩვენ მიერ გამოვლენილი რელიგიური რიტუალის აღმნიშვნელი ლი-ლ-გ-ენ-ი/ლი-ლ-გ-ენ-ი/ლი-ლ-გ-ენ-ი ფორმაც, რომელიც სიტყვასიტყვით შე-დგ-მ-ა/და-დგ-მ-ა-ს იდენტურია. ვფიქრობთ, ქართულ დგ- ზმნასთან სვანური გ-ს კავშირი არ უნდა გამოი-რიცხოს.

გ) საკუთრივ სვანური მასალა:

ლირლ (ზზ.)/ლირლ (ბქ., ლნტ.)/ლირალ (ბქ.)/ლირლ (ლშზ., ჩოლ.), შდრ. ასევე ჩოლ. რ „ხვეწნა, მუდარა, ვედრება“, რომელიც გადატანითი მნიშვნელობით ლოცვა-ვედრების გამომხატველი სიტყვაა სვანურში, შესატყვისები არ ეძებნება სხვა ქართველურ ენებში.

საკუთრივ სვანურ ნიადაგზე წარმოქმნილად მივიჩნიეთ აგრეთვე შემდეგი შესიტყვებები: ზზ. ყიჟელითე „შეწირვა წმინდა ხარისა მსხვერპლად (ზედმიწ. – ზვარაკი[ს] დაბადება/გაჩენა)“ და ბალსზემოურშივე დადასტურებული ჯგრგი ყუჟრე ლითე „შეწირვა ხარისა წმინდა გიორგისათვის (ზედმიწ. – წმინდა გიორგის ზვარაკების დაბადება/გაჩენა)“. მიუხედავად იმისა, რომ შესიტყვების ერთ-ერთი კომპონენტი ყიჟ (ზს., ქს.) „ზვარაკი, შესაწირავი (ცხოველი)“, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში, დაკავშირებულია ქართ. ყვინიზ-ი, ყნიზ-ი „ფრინველთ პოხილობა (საბა)“, გა-ყნიზ-ებ-ა „გასუქება (ფრინველთა)“ ფორმებთან და ს.-ქართვ. ფუძეენის დონისათვის აღდგენილია \*ყიზ-(ინ-) „სიმსუქნე; გასუქება“ (→ ქართ. ყნიზ-, ყნიზ-ი ← \*ყიზ-ინ-ი : სვან. ყიჟ) არქექტიპი, იგი, სემანტიკური არაიდენტურობიდან გამომდინარე, მაინც საკუთრივ სვანურ ფორმად მივიჩნიეთ. რაც შეეხება შესიტყვების მეორე კომპონენტს – ლითე'ს (შდრ.: ლითაე, ლითნე, ლთნე, ლეთნე...) „გაჩენა, დაბადება“, მას შესატყვისები ეძებნება სხვა ქართველურ ენებში (ქართ. თენ-ებ-ა; გან-თენ-ა „გათენდა“... : მეგრ. თან-აფ-ა „თენება; განთიადი; აღდგომა“; გო-თან-დ-უ „გათენდა“; გო-თან-ელ-ი „გათენებული“ : ლაზ. თან-აფ-ა „ნათება; თენება“; მ-თან-ურ-ა „ციცინათელა“; დო-ლო-თან-ერ-ი „განათებული“; დო-თან-ურ-ი „განთიადი“), შესაბამისად კი ს.-ქართვ. ფუძეენის დონისათვის აღდგენილია \*თენ- არქექტიპი [ფენრიხი, სარჯველაძე 2000:233].

სვანური ტრადიციული ყოფისათვის დამახასიათებელი ლოცვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების ეთნო-ლინგვისტურმა ანალიზმა, სხვა ქართველურ ენებთან შედარება-შეპირისპირების თვალსაზრისით, აჩვენა, რომ საანალიზო რელიგიურ ლექსიკურ ერთეულთა უმეტესი ნაწილი შეთვისებულია ქართულიდან (მაგ.: ლოც/ლოც, ლიდბში, ლიტბელი/ლიტაბლე/ლიტაბლიელ, ლიდლ, ლიხლინე...), ნაწილი – საერთოქართველურია (მაგ.: ლილგენი/ლილგენი/ლილგნი...), ნაწილი – საკუთრივ სვანური (მაგ.: ლირლ/ლირლ/ლირალ/ლირლ, ყიჟელითე, ჯგრგი ყუჟრე ლითე). ქართულის გზით სვანურში დამკვიდრებული საკრალური ტერმინები კი ენამ, როგორც ჩანს, რელიგიურ ტერმინთა ყოფითისაგან განსამიჯნავად გამოიყენა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ლოცვა-შეწირვასთან დაკავშირებული არაერთი ტერმინი შექმნილია სვანური ენის წიაღში. რაც

შეეხება ტერმინთა დიფერენციაციას, ბუნებრივია, განაპირობებდა ლოცვის/შეწირვის ხასიათი.

დასკვნა:

1. წირვა-ლოცვის ამსახველი სვანური დიალექტოლოგიური მასალა, რომელიც დავყავით ორ ნაწილად: 1. წირვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები და 2. ლოცვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა როგორც ეთნოგრაფიული, ასევე ლინგვისტური თვალსაზრისითაც. კვლევის შედეგად თავი მოვუყარეთ სვანურ დიალექტ-კილოკავებში მარგალიტებივით მიმოზნეულ წირვა-ლოცვის აღმნიშვნელ ყველა საკრალურ ტერმინს და შესაბამის ქართველურ ენობრივ მასალებთან შედარება-შეპირისპირების საფუძველზე დავადგინეთ თითოეული ლექსიკური ერთეულის წარმომავლობა. კვლევამ აჩვენა, რომ წირვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები (მაგ.: წირ/წირ, სახრბ/სახრებ/სახარება, თნობელობ) სვანურში შეთვისებულია ქართული-დან სხვადასხვა სახის ფონეტიკურ პროცესთა (მაგ.: ზგერათა დაკარგვის, ზგერათა გაჩენის, უმლაუტის, ზგერათმონაცვლეობის...) განხორციელებით. ცხადია, სემანტიკური იდენტურობის (მაგ., წირ/წირ) კვალდაკვალ სემანტიკურ გადაწვევასაც აქვს ადგილი (მაგ.: სახრბ/სახრებ/სახარება, თნობელობ), ქრონოლოგიურად კი ზოგი ლექსიკური შედარებით ახალ ნასესხობას წარმოადგენს, ზოგი კი უძველესს, რაზეც მიანიშნებს სწორედ ჩვენ მიერ გამოვლენილი თნობელობ „წირვა-ლოცვა (აღდგომის წინა კვირისა, ანუ ვნების კვირისა)“, რომელიც ჩოლურული მეტყველების გარდა სვანური ენის ვერცერთ დიალექტ-კილოკავში ვერ დავადასტურეთ.

2. ლოცვის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებში გავაერთიანეთ უფლის ან რომელიმე წმინდანის სახელზე აღვლენილი ლოცვა-ვედრებისა და შეწირვის რიტუალის აღმნიშვნელი ისეთი ლექსემები, როგორიცაა: ლიდბში, ლილლ, ლილგენი, ლიხლინე, ლიტბლი და ა. შ., რომელთა დიფერენციაციას, როგორც უკვე ითქვა, განაპირობებდა ლოცვის/შეწირვის ხასიათი და მიუხედავად ამ საკრალურ ტერმინებში გამოვლენილი ქართული ძირებისა, ისინი სვანურ წიაღში შექმნილად მივიჩნიეთ და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ამ რელიგიურ ლექსიკურ ერთეულებმა არაერთი ქართველური არქაული სიტყვა თუ ძირი შემოგვინახეს.

### ლიტერატურა:

ბარდაველიძე ვ. (1939): სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. ტფილისი.

ბრეგაძე ნ. (1969): მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.

გაზდელიანი ელ., ჭკადუა რ. (2016): სარიტუალო პურის სახეობის ამსახველი ლექსიკა სვანურში. ეტიმოლოგიური ძიებანი. XIII. 3-12.

კაიშაური ლ. (1947): მთიულურის დარგობლივი ლექსიკა. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.

ლიპარტელიანი ას. (2014): სვანურ-ქართული (ჩოლურული კილო) ლექსიკონი. თსუს გამომცემლობა. თბილისი.

საღლიანი მ. (2023): ნასესხებ სიტყვათა ლექსიკონი სვანურში. ტ. II. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი.

ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ. (2000): ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თსუს გამომცემლობა. თბილისი.

ჩართოლანი მ. (1961): ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი.

ჩიქობავა არნ. (1938): ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი.

ჩუხუა მ. (2000-2003): ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი.

**Medea Saghiani, Nato Shavreshiani**

TSU Arn. Chikobava Linguistic Institute

[medeasaghiani@yahoo.com](mailto:medeasaghiani@yahoo.com)

[nattaliashavreshiani@gmail.com](mailto:nattaliashavreshiani@gmail.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.35>

## **Ethno-Linguistic Analysis of Lexical Units Denoting Divine Service/Prayers in Svan<sup>1</sup>**

Abstract

The Svan dialectological material reflecting divine service, which we divided into two parts: 1 *lexical units denoting the liturgy* and 2. *lexical units denoting prayer*-proved to be highly interesting from both ethnographic and linguistic perspectives. As a result of the study, we collected all sacred terms denoting liturgy and prayer scattered, like pearls, across Svan dialects and subdialects, and, on the basis of comparison and contrast with corresponding Kartvelian linguistic data, determined the origin of each lexical unit. The study showed that the lexical units denoting the liturgy (e.g., **woṛ/wirw**, **saxrāb/saxreb/saxareba**, **tnobelob**) were borrowed into Svan from Georgian through the operation of various phonetic processes (e.g., *sound loss*, *sound insertion*, *umlaut*, and *sound alternation...*).

2. Within the lexical units denoting prayer (**loc**, **limzər**), we grouped together lexemes referring to rituals of prayer, supplication, and offering performed in the name of the Lord or a particular saint, such as **lidbāši**, **liywlāj**, **ilgeni**, **lixline**, **liṭbəli**, etc. As already noted, their differentiation was determined by the character of the prayer or offering. Despite Georgian roots identifiable in these sacred terms, we consider them to have been formed within Svan linguistic environment. Importantly, these religious lexical units have preserved a number of archaic Kartvelian words and roots.

---

<sup>1</sup> The research was conducted in 2022 within the framework of the project funded by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia - (FR -22-7056)- “**Ethno-linguistic Aspects of Svan Religious Vocabulary**”.